ზოგადი სურათი
საქართველოში მთლიანი ავტოპარკის 48% 20 წელს გადაცილებულია, ავტოპარკის 43%-ს კი, 11-20 წლამდე ავტომობილები შეადგენენ. ბოლო რამდენიმე ათწლეულია, ქვეყანაში სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირება არ არის სავალდებულო კანონმდებლობით. ქვეყანაში დაშვებულია დიზელის დაბალი ხარისხის შემოტანა და ტრანსპორტის 20% დიზელის მომხმარებელია.

მოძველებული და გაუმართავი ავტოპარკი, საწვავის ხარისხის სუსტი კონტროლი, ცნობიერების დაბალი დონე გვაძლევს შემაშფოთებელ სურათს, ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით.

კვლევები ადასტურებს, რომ ჰაერის დაბინძურების 71% ავტოტრანსპორტის ემისიებზე მოდის. გაუმართავი ტრანსპორტი როგორც ავტოავარიების გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ასევე უარყოფითად მოქმედებს ჩვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. განსაკუთრებით, მაღალი რისკის ჯგუფი ბავშვები არიან.

მნიშვნელოვანია, დროულად ვიზრუნოთ საკუთარი ავტომობილების ტექნიკურად გამართვაზე, რათა ნაკლებად დავაბინძუროთ ჰაერი და ნაკლები ზიანი მივაყენოთ როგორც საკუთარ თავს, ასევე ჩვენს თანამოქალაქეებს.

მიმდინარე წლის 1 ივლისიდან, სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირება უნდა გაიარონ სახელმწიფო უწყებებისა და იურიდიული პირების კუთვნილმა ავტომობილებმა. 1 ოქტომბრიდან - სავალდებულო ტექნიკურ შემოწმებას გაივლიან დიდი მოცულობის ძრავის ავტომობილები (3.0 ძრავით და ზემოთ).

2019 წლის 1 იანვრიდან კი, პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას საქართველოში რეგისტრირებული ყველა დანარჩენი ავტომანქანა გაივლის.

დამკვეთი: საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის

მიზანი: შეიქმნას საკომუნიკაციო მესიჯის მატარებელი პოსტერი, რომელიც მოუწოდებს ავტოტრანსპორტის მფლობელებს - ეს იქნება კერძო თუ იურიდიული პირის მფლობელობაში არსებული ტრანსპორტი - იმოქმედონ კანონით განსაზღვრული წესებით, ვადის დადგომისთანავე მოაწესრგონ ავტოტრანსპორტი და გაიარონ ტექნიკური შემოწმება.

კამპანიის მიზანია საზოგადოებაში ჰაერის ხარისხისა და ტრანსპორტის გამართულობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

მთავარი მესიჯი
გამართე ან გამორთე!
გამართე ავტომობილი შენი და შენი შვილების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის!

სამიზნე აუდიტორია
ავტომანქანის მფლობელი ფიზიკური და იურიდიული პირები

Tone of Voice
მამოტივირებელი ინფორმაციული ემოციური

განთავსება
სოციალურ ქსელებში, ბეჭდურ მედიასა და სხვა საკომუნიკაციო არხებში. პოსტერები შესაძლოა, განთავსდეს ქვეყნის მასშტაბით ბილბორდებზე,

შესრულების ფორმა
A3

ვადა
13 ივლისი, დღის ბოლომდე